სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080150009840719

№ 1361 07 / მარტი / 2019 წ.

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ განხორციელებული გამარტივებული შესყიდვის მართლზომიერად ცნობის შესახებ

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 05 მარტს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ SMP190001418 მომართვა, რომლითაც შემსყიდველი ორგანიზაცია ითხოვს გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე განხორციელებული გამარტივებული შესყიდვის მართლზომიერად ცნობას.

2. შესყიდული ობიექტი და მისი ღირებულება

მომართვის მიხედვით, შემსყიდველმა ორგანიზაციამ განახორციელა ქ. თბილისში, ბარათაშვილის ქ. N2-ში მდებარე სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" სათავო ოფისის დეზინფექციის ერთჯერადი მომსახურების (CPV - 90900000 - დასუფთავება და სანიტარიული მომსახურება) შესყიდვა, ღირებულებით - 1416 ლარი.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ლოგისტიკის დეპარტამენტის უფროსის 04.03.2019 წლის #2872 სამსახურებრივი ბარათის თანახმად, მიმდინარე წლის 04 მარტს სს "სსე"-ს სათავო ოფისის შენობაში ერთ-ერთ თანამშრომელს აღმოაჩნდა ე.წ. "წითელას ვირუსი". ვირუსის გავრცელების თავიდან აცილებისა და ოფისში მომსახურე პერსონალის (600-მდე თანამშრომლის) ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, საჭირო გახდა შემსყიდველ ორგანიზაციას უმოკლეს ვადებში გამარტივებული წესით, გადაუდებელი აუცილებლობით განეხორციელებინა ქ. თბილისში, ბარათაშვილის ქ. N2-ში მდებარე სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" სათავო ოფისის დეზინფექციის ერთჯერადი მომსახურების შესყიდვა.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საგულისხმოა, რომ დაინტერესებულ პირებს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით სისტემის SMP მოდულში არ გამოუხატავთ მოსაზრება.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განხორციელებული შესყიდვა წარმოადგენდა გადაუდებელ აუცილებლობას, იმდენად რამდენადაც, წარმოდგენილი მომართვის თანახმად, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ლოგისტიკის დეპარტამენტის უფროსის 04.03.2019 წლის #2872 სამსახურებრივი ბარათის თანახმად, მიმდინარე წლის 04 მარტს სს "სსე"-ს სათავო ოფისის შენობაში ერთ-ერთ თანამშრომელს აღმოაჩნდა ე.წ. "წითელას ვირუსი". ვირუსის გავრცელების თავიდან აცილებისა და ოფისში მომსახურე პერსონალის (600-მდე თანამშრომლის) ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, საჭირო გახდა შემსყიდველ ორგანიზაციას უმოკლეს ვადებში გამარტივებული წესით, გადაუდებელი აუცილებლობით განეხორციელებინა ქ. თბილისში, ბარათაშვილის ქ. N2-ში მდებარე სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" სათავო ოფისის დეზინფექციის ერთჯერადი მომსახურების შესყიდვა.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა, კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-11 პუნქტებით და დაადგინა:

1. მართლზომიერად იქნეს ცნობილი სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ განხორციელებული გამარტივებული შესყიდვა.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე